

1941



# ՅՈՒՆԵԱՀՈ

ՅԱԿԱՐԵՎԵՐԱ  
ՅԱՅԻՆՈՒԹՅՈՒՆ



1941 թիվ 40

Ցանցական հայտագիր „ՅՈՒՆԵԱՀՈ”

3

## გ ე რ ი ღ ა მ

რა დილაა, რა ლამაზი, მოკაშეამე თეთრად,  
თეთრად ლეივის ალუბლები, ნუშიც აიფეცქა;  
ვაშლმა ბუტკო გაიკეთა, ყური ცევიტა ლეიიამ,  
ლობის ძირებს გამოსხმია თვალეულუნა ია;  
ცა მტრედისფრად მოკაშეაშებს რიერაედანალვაჩი.  
ბალში ცეკვით შემოფრინდა მინდვრის ანცი ქარი;  
ოდას თეთრად ნაჩუქურთმეეს მზემ რომ ჰკიდა თვალი,  
აივანზე გამოვიდა ტანკაჭირია ქალი.  
და ეზოებს გადაევლო ქაბის შარიშურით,  
გადახედა ჩაის ყანებს ოქრო-ფარჩანაფენს,  
გზად გუგული მოსმახოდა: „კაფე, კაფე, კაფე“...  
გლეხშია ურმის აპეური შემოუბა ხარებს,  
ეს ოცი წლის გაზაფხული ვის არ გაახარებს!



### ერთო ქაჩეკაშვილი

## გ ე რ ა ფ ხ უ დ ი

ჩიმოდნა თოვლი, თეთრი მთები  
გალურჯდა ისევ,  
ფიფქების ქურქი გადაიძრო  
ტყემ, ალარ ჰელრაეს,  
გათბა ჰაერი; კრიალაა,  
მსუბუქი, მქისე,  
ალუბლის ტოტზე დარცხვენით ზის  
ორი ბელურა.  
ტყემ გაიღვიძა მოქანცულმა  
ზამთრის დრომ ავლემით,  
ათასნაირად მოიჩითა,  
მოირთო მიწა:

იამ სახეზე შეისხურა  
ნამი ფოთლებით  
და მოშრიალე ვერხვის ხეებს  
სალამი მისცა.  
თითქოს მდინარეც ჩაერია  
ამ დიდ მეჯლისში,  
ისიც ადიდდა და ნაპირებს  
გადმოედინა,  
ყიყაჩო გაინდა მოხასხასე  
მინდვრებზე უხვად,  
არ სციგათ ჰალებს, მოხუც მუხებს  
ახლა რა უშავთ!



# ცურაული

გრაბა ა გრება ა ა ვ ა  
 ვ ა ბ ა გ უ ბ ა მ , ს ი ჭ . ვ ა 6 5 ,  
 ა გ რ ა ბ ა 2 6 2 ც უ რ უ ფ რ ა ბ ,  
 ა ვ ა 2 - 2 3 8 7 6 . ვ ა 3 4 6 6 6 .

2 4 3 / 9 7 8 2 მ ი შ ე ი 8 ,  
 2 4 3 / 9 8 2 6 2 7 6 მ ი რ ა დ ;  
 2 4 3 / 9 8 2 6 2 7 6 მ ი რ ა დ ,  
 2 4 3 / 9 8 2 6 2 7 6 მ ი რ ა დ .


350

გრაბა ა ვ ა ბ ა გ უ ბ ა მ  
 ქ 6 2 ც უ რ უ ფ რ ა ბ 2 4 3 - 9 0 3 6  
 ა 2 4 3 / 9 8 2 6 2 7 6 9  
 2 4 3 / 9 8 2 6 2 7 6 9 5 1 9 7 6 1 1 3 2 .

6 4 ც უ რ უ ფ რ ა ბ , 2 4 3 / 9 8 2 6 9 ,  
 6 4 ც უ რ უ ფ რ ა ბ , 2 4 3 / 9 8 2 6 9 ,  
 6 4 ც უ რ უ ფ რ ა ბ , 2 4 3 / 9 8 2 6 9  
 ( 6 4 ც უ რ უ ფ რ ა ბ , 2 4 3 / 9 8 2 6 9 ) .

მ ა ბ ა ბ ა გ უ ბ ა მ





ს კ ვ ი ბ  
ენა ხასკვილი

დიდი ხანია მაყვალა ზის და ხატავს. პატარა ლამპა მაგიდაზე მოსაწყენად ჭრიპინებს. მაყვალას დედას თავი შუთაქაზე მიუდგია და ტირილით დალილის მისძინებია. მისი ერთადერთი ვაჟიშვილი ფინეთის ფრონტზეა, წერილი დიღხნია აღარ მოსვლია, დედის გულმა ეს ველარ აიტანა...

— რატომ სურათი მაინც არ გადავალებინა, რომ იმის მშვენიერი თვალებისათვის მეცქირა! — მწარედ მოთქვამდა მაყვალას დედა. ბავშვმა ვერ გაუძლო დედის მწუხარებას, დაპირდა, სკოლაში ხატავს გვასწავლიან და მედაგიხატავო.

და აი, ზის მაყვალა მაგიდასთან, რვეულის ფურცელი უდევს წინ და ხატავს.

— რომ არა ჰეგაქ? — გაითიქრა გოგონშ. — არა, შუაზე გაყოფილ თქებს რომ დავუხატავ, ალბათ, მაშინ დაემსგავსება, — თავი დაიმედა მაყვალამ და კალამს ისევ წაავლო ხელი.

თქები რომ გვერდზე გაუყო, მაყვალამ კი-დევ დახედა და გული აუჩქუდა.

— ვენაცვალე! ის არის... ის!

დედას როგორ გავახარებ! მაგრამ ისიც რომ ჩემსაცით ატირდეს, ცოდო არ არის!

ჩუმად სლუკუნებს მაყვალა. ჩაძინებულ დედას გვერდ-გვერდ გასცემის და ელის მის გაღვიძებას, რომ სურათი აჩვენოს.

ამ დროს კარი ვიღაცამ დააკაქუნა.

კაკუნთან ერთად გარედან ფრთხილი შემოძახილი მოისმა:

— დედა, არ შეგეშინდეს, მე ვარ, კარი გამიღე!

— ვაი შენ დედას და ვაგლახი! — წამოიყვირა მაყვალას დედამ და შეშფოთებული სახით ტახტზე წამოჯდა.

— იმის ხმა იყო... სიზმარში მეძახდა... შენს დედას დაუდგეს თვალი! ვინ იცის, ბიჭო, ამწამს გიჭირს რამე და...

— დედა, მე ვარ! ნუ გეშინაა, გამაღე კარი, გამარჯვებული მოვდივარ! — შემოესმა ხელმეორედ ხმა. დედა და შვილმა სიხარულით იკივლეს და კარებს მისცავდნენ. გააღეს კარი და სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილ ვაჟკაცს გულში ჩაეკვრნენ.

ლამის მყუდროებაში მაყვალას და მისი დედის ყვირილი შორს გაიჭრა და მეზობლების ყურამდე მიაღწია.

— შენ კი გენაცვალე, ია, მართლა შენა ხარ?! შენა ხარ, ძმაო?! — ყვიროდა გახარებული გოგონა. იას ხან კისერზე ჩამოეკიდებოდა, ხან განზე გადგებოდა და კოხტად გამოწყობილ ძმას სიხარულით ანთებული თვალებით უცქეროდა.

მაყვალას ყვირილი უწინ თებრონემ გაიგო. ახალგაზრდა ქალმა კარი გააღო, გამოგიდა და ყური დაუგდო. თებროს ტანში ურუანტელმა დაურბინა. იმას ეგონა, მაყვალას დედას მშუხარებით რამე დაემართაო, მაგრამ როცა მაყვალას უკანასკნელ წამოძახილს მოჭრა ყური,

ცაზე გაქაშეაშებულ ვარსკვლავებს უნებურად გაუღიმა და ისევ სახლში შევარდა.

— არიქა, ხალხნო, მგონი, იმ დედაკაცს ია ჩამოსვლია და იმათ სახლში ისეთი ხმაურია, რომ კინაღამ გული გამისკდა!

თებროს წამოძახილზე ყველამ თავი წამოყო და განცვიფრებით ოვალები დაჭყიტეს.

თებრომ კაბა გადაიცვა, გაშლილი ნაწნავები ოდნავ ჩაიხლართა და გავარდა. დანარჩენებმაც ფაციფუცით ჩიიცვეს, ზოგმა წალმა, ზოგმა უკულმა, და ისე გამოცვივდნენ, კარი არც კი გადმოურაზიათ.

ხვევნა-კოცასა და ლრიანცელს ბოლო აღარ უჩანდა. ახლო მეზობლების ხმაურმა შორეული მეზობლებიც დააფეთიანა.

ცოტა ხნის შემდეგ აქა-იქიდან შეშფოთებული ხალხი ცალ-ცალექე გამორბოდა, ახმაურებული ოჯახის შორიახლო ჯერ ცოტა ხნით შეჩერდებოდნენ, რომ მიხედლილიყვნენ, იქ რა ამბავი ხდებოდა, და რაკი მხიარულ გამოძახილს მოჰკრავდნენ ყურს, იმ წამსვე დაიძროდნენ და სულ თავიბირის მტრევით შერბოდნენ გახარებულ სახლში. მალე, სულ მალე დიდი ოთახი იას მნახელებით აივსო. ერდო და კარმიდამი მხიარული მითქმა-მოთქმით ახმაურდა.

ახალგაზრდა გოგოები ჯარასავით დატრიალდნენ: თავიანთი ოჯახიდან ვინ სკამები მოარბენინა, ვინ ლამბები მოაცუხცესა, რომ ეს ბედნიერი ღამე ქორწილივით გაეკაშეაშებინათ. მაგრამ თებრომ ყველას გადააჭარბა სიმამაცეში.

— ამაღამ ქორწილზე უკეთესი მხიარულება გვმართებს და ყველა უნდა გავისარჯოთ, — ამბობდნენ ცულლუტურად გოგოები და თან იას აღმაცერად გახედავდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ სუფრა უკვე აყვავებული იყო მრავალნაირი ხორავით.

— აბა, ნათლიჯალაბო, ეგ ჩენი გმირი და დღევანდელი პატარძალი სუფრის თავში დააბრძანეთ, რომ ყველამ პირდაპირ უცუქიროთ. მარჯვენა მხრივ დედა მოუსვით, მარცხნივ შენ მოუჯეექი. დანარჩენებო, სადაც გნებავთ, იქ დასხედით, — მიიპატიუა თებრომ ხალხი სუფრაზე.

— დაბრძანდით, გენაცვალეთ, დაბრძანდით, თორემ იას ეშივება, ნამგზავრია და ნუ-

ღარ აცდევინებთ... — დაუმატა სიტყვა ნაწილი და სუფრის ბოლოში უწინ იმან მოიკალათა. ყველანი დასხდნენ. ოდნავი დაწყნარების შემდეგ ჭიქები ლალისფერი ლვინით ააგსეს და ხანში შესულ სოფლის მჭიდრმეტყველ კოლმეურნე შაქროს ტოლუმბაშობა მიუღოცეს. ჭალარაშერთული, შავგვრემანი კაცი ზეზე წამოდგა, თამაღად არჩევისათვის მხიარულ კრებულს მაღლობა გადაუხადა და სავსე ჭიქით იას მიუბრუნდა:

— შენ მოსვლას და ჩვენ გახარებას გაუმარჯოს, ჩვენო საყვარელო ძმაო და შეიღონია! ნეტავ შენ ჯიელობას, რომ საბჭოთა ქვეყანას გმირად გამოადეე! ჩვენმა მთავრობამაც შენი გმირობა დააფასა და ია, ხომ ხედავ, შენი ქვეყნის შეიღები ასე ძლიერ გაგვახარა. შენ ჯერ სულ ახალგაზრდა ხარ, ალბათ, მომავალში კიდევ ბევრი კაი საქმის ასრულებას შესძლებ და გისურვებ, რომ დიდხანს იცოცხელო მთელი ქვეყნის, დედაშენის და ჩვენს საამაყოდ!

— იას გაუმარჯოს, საბჭოეთის ქვეყნის გმირს! — წამიძახეს ყოველ მხრივ და ჭიქები ყველამ ზევით ასწია.

საღლეგრძელოს საღლეგრძელო მოჰყვა, ხალხი გამზიარებულდა, უფრო ახმაურდა, ზოგი ოხუჯობდა, ზოგი ომიანობის შესახებ იას სხვადასხვა შეკითხვებს აძლევდა. თამაღა ისევ ფეხზე წამოდგა და იას მიმართა.

— შვილო ია, წელან ამ ჩვენმა გოგოებმა თქვეს: ამაღამ ქორწილზე უფრო დიდი ოხინის გადახდა გვმართებსო და მართალიც არის. ცოლის შერთვას და გათხოვებას ყველა ახერხებს, გმირობა კი, ჩემო ძმაო, გამონაკლისთა ხვედრია და ამიტომ ყველაზე სანატრელიც ის არის. ახლა შენ ამ ჩვენ სუფრას კაი სამსახური უნდა გაუწიო, შენი გმირობისა და დაჯილდოების შესახებ უნდა მოგვიყე.

— არიქა, ია, შენი ჭირიმე... სწორია, სწორი... აბა, აბა, გისმენთ, გისმენთ, გვიამბე, გვიამბე! — გაისმა აქეთ-იქიდან.

ია წამოწითლდა, ფართოდ გაიღიმა და უნებურად ფანჯრისაკენ გაიხედა.

დაეხაშმებული მთავარე ჭანდრის კენჭეროებს მოსღვომოდა და მხიარულ კრებულს მინაზებული სახით შემოსცემოდა.

მთვარის დანახეაზე იას ბრძოლის უკანა-  
სკნელი ლამე გაასქნდა და თავის ქნევით  
წარმოთქვა:

— მართლაც და ეს როგორ საქმე საქმეზე  
მოვიდა. ავერ ის მთვარე ამ წასაც ისე მიცეტ-  
რის, როგორც იმ ლამეს მიცეტოდა და იმ  
ბრძოლის ამბავი ახლა სულ თვალშინ დამიტრი-  
ალდა, — თქვა იამ.

— ყველა გაჩუმდა, იამ კი ასე დაიწყო.

— სანამ ქალაქ ვიბორგზე გავილაშქრებდით,  
კუნძული კოვისტო უნდა აგველო. დიდი, ძნე-  
ლი ამოცანა გვედო წინ, იმიტომ რომ ფინეთი,  
მთა-გორიანი, ჭაობიანი და მრავალკუნძულიანი  
ქვეყანა, ძლიერ იყო გამაგრებული ინგლისე-  
ლების, ფრანგებისა და გერმანელების დახ-  
მარებით. თანაც საშინელი ქარბუქი და მეუკრი  
ყინვები წელში გვწყვეტდა, მაგრამ მაინც მე-  
დვრად განვაგრძობდით წინსვლას. წინადღეს  
ჩვენმა წითელმა არმიამ თეთრგვარდიელი ფი-  
ნები მოულოდნელი თავდასხმით უკუაცია და  
იმათ ფეხდაფეხ მივდევდით. ერთ დილით სა-  
შინელი ქარი ამოვარდა, თან ისეთი თოვლი-  
ანი კორიანტელი ააყენა, რომ ირგვლივ არა-  
ფერი ჩანდა. ყინვამ ისეთი დღე დაგვაყენა, რომ  
ხელ-ფეხს ვეღარ გვრძნობდით, მაგრამ ჩვენ სი-  
მხევეს ვერაფერი ვერ აკავებდა. კუნძული კოი-  
ვისტო წინ გვედო და წინ მივიწევდით, ჩვენ  
არ ვიცოდით, სად რა ხიფათი მოგველოდა,  
ძლიერ გავიტანჯეთ ჭაობიანი ადგილების გადა-  
ლივით. ზოგჯერ ჭაობებში ვიულობდით,  
ზოგან აფეთქება ხდებოდა და მაინც ვერაფე-  
რმა ვერ შეგვაჩერა.

მე მაშინ მზევრავთა აგანგარდში ვიყავი. ჩვენ ვუკვლევდით წითელ არმიას გზასა და  
კვალს. სანამ დაბლობში ვიყავით, ქარიშხალს  
ისე ძლიერ ვერ ვგრძნობდით, მაგრამ როცა მა-  
ლლობზე ავედით, ქარმა თავის ძალა მაშინ  
გვაჩვენა, ისე გლეჯდა, ისე ლეშდა კულაფერს,  
რომ ტყე საშინელი ხმით გასწიოდა. აქ კი  
ყინვამ ისე შემაწუხა, რომ ქარს ზურგი შევუ-  
ბრუნე და ქროთულად შევუკურთხე:

— აი შენ დაგენგრეს ეგ საბერეველი, ალარ  
უნდა ჩადგე მეთქი?! — ამ დროს ზურგს უკან  
ქროთულადვე მომესმა:

— Ⴢა, იაკობ... ქარის ქშიტინმა ხომ არ  
დაგჯაბნა? მიდი, მიდი, ჩვენებურად! — და ამ

სიტყვებზე ისეთი სიმხევე ვიგრძენ, რომ მალლ  
მთაზე როგორ აველ, ალარ გამიგია, ამის  
მთქმელი ახოვანი ვაჟკაცი იყო, ვგვარად მე-  
ტრეველი. მამაცხონებული ისეთი ხუმარი იყო,  
რომ სიცილით გვხოცავდა ყველას. იმ დღეს,  
ბევრი სიარულისა და წვალების შემდეგ, ერთ  
ტყიან მალლობზე გავჩერდით ლამის გასათვეად.  
თითქო ჩემმა რისხვი გაჭრაო, შუალამისას  
ქარი ჩადგა და ყინვამაც იქლო. დაღლილ-და-  
ქანცული მზევრავები მოყინულ თოვლზე მიე-  
ყარნენ და მალე ყველას ისე ტკბილად ჩაე-  
ძინა, თითქოს თოვლზე კი არა, ყურთუკის  
ბალიშებზე ედოთ თავი.

მე კი თვალზე ლული არ მომეკიდა. სხვე-  
ბთან ერთად თოვლში სწორედ შაშინ წავშექი,  
როცა დაგახშებულმა მთვარემ თეთრად შესუ-  
დრული ბიდამოები, აი როგორც ახლა, მკრთა-  
ლი შუქით გაანათა. ჩემს პირდაპირ ერთ წო-  
წლოვინა მთას რომ გახხედე, ჩვენი უსანეთის  
მთა მომაგონდა, ბლუჯა-ბლუჯა ვარსკვლავე-  
ბიც ისე დაპერავებულნენ, როგორც იმ ღამეს,  
როცა შენ, დედაჩემო, ფრონტზე მაცილებდი.  
გახსოვს, ბოგირიდან რომ დამიძახე: შვილო ია,  
სიმამაცე და სიმხევე ყველაფერს აადვილებს,  
მაგრამ სიფრთხილე არ დაგავიწყდეს.

— ოო, რომ იცოდე, შვილო, გულზე რა  
დიდი ცეცხლი მეკიდა, მაგას რომ გეუბნებოდი  
— ჩუმად წაიდუღუნა იას დედამ და გაღიმე-  
ბულ სახეზე ცრემლი ჩამოუგორდა.

ამ სიტყვებზე ბევრმა გაიღიმა, ზოგმა თა-  
ვი გაიწინა. სიჩუმე არავის დაურღვევია.

იამ ისევ განაგრძო:

— Ⴢო და იმ წუთში ის შენი სიტყვები ყუ-  
რში ისე ჩამომესმა, თითქოს ზურგსუკან იდე-  
ქი და მაფრთხილებდი. ამ დროს ტყის გას-  
წვრივ თითქოს რაღაცამ დაიჭრიალა. თვა-  
ლები უფრო ფართოდ გავახილე და იმ ალაგს  
მივაჩერდი, საიდანაც ოღნავი ჩემი მომესმა.  
ერთხანს ხმაური არ გამნეორებულა, მაგრამ.  
რაღაცა მოუსვენრობამ ამიტაცა და მთლად  
სმენად ვიქეც:

— ალბათ, დათოვლილი ტოტი სადმე მო-  
ტყდა და იმან თუ გაიფაჩუნა — მეთქი, გავიფი-  
ქრე და მაინც იმ ადგილს თვალს არ ვაშო-  
რებდი. ვუცეტო, ვუცეტო და უცებ მომეჩვენა,  
თითქოს თეთრი მთა შეინძრა.

— ბიჭოს! რა ამბავია, ნუთუ შეწყერი და-  
იძრა მეთქი, — კვლავ გავივლე გულში, წამო-  
ვიწიე, იდაყვზე დავეყრდნე და თვალებზე ხე-  
ლი მიგისვ-მოვისვი, ხომ არ ვტყუვდები მეთქი,  
მაგრამ არა. აშეარად შევამჩნიე, რომ მთა იძრო-  
და და ძირს ნელ-ნელა მოცოცავდა. ეე... აქ  
რალაც ამბავია, მეწყერი ასე ფრთხილად არ  
იძრის, იმან ჩქაფანი და გახმაურება იცის მე-  
თქი, და მივხვდი. თმები ყალყზე დამიღდა.  
რა უნდა მექნა? იმ დროს ხმის ამოლება საქმეს  
მთლად დალუპავდა, არა და თავზე წამომ-  
დგარი თეთრად შენილბული მტერი მალე შე-  
ნიშნავდა ჩენ იქ ყოფნას და სულ ერთიანად  
ამოგვულეტდა. ეს რომ გავიფიქრე, მთელ სხე-  
ულში ცხლად რალაცამ დამირბინა. კბილები  
დავაკრაჭუნე და ერთი წუთით თვალები დავ-  
ხუჭე. უცებ კიდეც გადავწყვიტე: თოვლზე ხელი-  
კივით უჩუმრად გავცურდი, ბურქებთან გამზა-  
დებული ტყვიამფრქვევი მოძრავი კუმშისაკენ  
შევატრიალე და ელვის სისწრაფით ავაკაკანე,  
თან გავხედე და რას ვხედავ? თეთრი კუმში  
უცებ შეტოკდა, დაუავტული მარცვლებივით  
გაიშალა და როცა ამხანაგები წამოცვივდნენ,  
საშინელი ხმით შევძახე:

— იქ არიან, იქ! ცეცხლი, ამხანაგები, ცეც-  
ხლი! — და სანამ მტრის თოფებმა იგრიალეს,  
ჩენი მეორე ტყვიამფრქვევიც აკაკანდა, დანა-  
რჩენთა თოფებმაც იგრიალეს და მოულოდ-  
ნელობის გამო თავზარდაცემული მტერი ხე-  
ლად ისე გავანადგურეთ, მგონი, ბოთხობელიც  
არავინ დარჩა.

— უი, შენ გენაცვალე!

— შენი მარჯვენის ჭირიმე, ბიჭო!

— ყოჩალ, ყოჩალ, ჩენონ გმირო! — სხა-  
რულით აღმოხდა ყველას და თავისუფლად  
ამოისუნთქეს.


— ეს ისევ შენი გამარჯვებისა იყოს, შენი  
მეგირცხლი მოსაზრების ჭირიმე, შენი! — სავსე  
ჭიქა ასწია სანდრომ და აღფრთოვანებული  
თვალებით შეხედა იას.

— ჩემი კი არა, დედაჩემის გამარჯვებისა  
იყოს! მე რომ მაჯილდოებდნენ და გამარჯვე-  
ბას მილოცავდნენ, მაშინაც გულში იმას ვფი-  
ქრობდი — დედაჩემის სიტყვები იმ ღამეს, ალ-  
ბათ, იმიტომ ამეცვიატნენ, რომ დალლილ-და-  
ქანცულს ძილი ერთი წუთითაც არსაიდან არ  
წამომპარგოდა, თორემ ყველა დავიღუპებოდით  
მეთქი.

— იცი, ია, დედა სულ იმაზე ტიროდა,  
რატომ სურათი არ გადავალებინეო. ავდექი  
და მე დაგხატე, რომ აღარ ეტირა. აბა, ნახე,  
რა კარგადა ხარ!

იამ სურათს დახედა და ხმამალლა გადა-  
იხარხარა. შემდევ ქალალდი ხალხისაკენ შეა-  
ტრიალა და უმალ საერთო ხარხარმა გააყრუა  
იქაურობა.

ხარხარებდნენ ყველანი და სიცილით ერთ-  
მანეთს აწყდებოდნენ, მაყვალა კი დედას  
ზურგს უკან მაგრად ეკეროდა და უკვირდა:  
მაგის დახატვაზე მე იმდენი ვიტირე და ამათ  
რა აცინებთო?



# 33 ქართველი

აკაკი გოგიაშვილი

სოფლის ბოლოს მოეყარათ თავი მესამე  
რაზმის პიონერებს. გურანდი, ფედოსიას ბი-  
ჭუნა, პირდალებული ყურს უგდებდა ამხანაგს.  
ისინი გასცეროდნენ კვარაციხეს, რომელიც  
ღრუბლებში აჩეხილიყო. სოფლებში ამბობ-  
დნენ: მაგაზე ჯერ კაცს ფეხი არ შეუდგამს,  
კვარაციხე მიუკარებელიაო. თამარის ლაშქრო-  
ბის მეტი არა ახსოვს რა მაგის ქვებსო, და კი-  
დევ რას არ იტყოდნენ მოხუცები!

— ბიძია ლუკიას მეტიც უთქვამს, — წა-  
მოყო თავი ბახომ, — კვარაციხეში გველეშაპია,  
ვინც შევა, გადაყლაბაესო.

— რას ამბობ, რას?! სირაული ეკა ამ-  
ბობდა: ვინც იქ ავა, ცოცხალი ვეღარ ჩამო-  
ყვება კლდის პირსაო! — დაუმატა გურანდიმ და  
მეგობრებს გადახედა.

— იცი, რა გითხრათ? — წამოიწია დათომ.  
— აბა, დათუნი, დაიწყე!  
— ჩემი აზრია: ხვალ იქ ავიდეთ!  
— ავიდეთ, მაგრამ მთელი რაზმი, თუ...  
— რასაკვირველია, მთელი რაზმი უნდა  
ავიდეს! — თქვეს ერთხმად. მზე უკვე გადას-  
ცილდა სანალიკის მთებს. მერცხალთა მარუ-  
ლამ ერთხელ კიდევ შემოუარა კვარაციხის  
ხავსიან კლდეებს და მიიმალა.

სოფელში დედაკაცები ქათმებს უძახდნენ.  
კაკუნას უბანში ისმოდა შეძახილი, სადღაც  
მსუნავი ღორი ჰყვიროდა. ბიჭებმაც დაძრეს  
ნახირი.

ჩაირბინეს მუხნარი. ნელა მიდიოდნენ სო-  
ფლისაკენ. ბილიკებშე გამორბოდა და უვე-  
ლის წინ უსწრებდა ლუკიას გოგონას ფოთო-  
ლის საყვარელი პატარა ვერძი. იგი ამაყად  
მოაბიჯვებდა, პატარა, ნორჩი რქებს მოაქანა-  
ვებდა.

კაკლებში რომ ჩამოვიდნენ, ღობესთან და-  
თო წამოეწიათ:

- მამლის ყივილზე, აბა, არ დაგავიწყდეს!
- ჴო, გუდა ახლავე მოამზადე, მთელი  
დღე იქ ვიქნებით.
- სამჭიდვის კლდესთან მოდი.

კვარაციხიდან დაშორებით კლდის უბანია.  
სულ ახლოს სამჭიდვის კლდეებია, დაკიდებულ  
ფერდობზე კი ჯაგნარი და მუხის ტყეა ატე-  
ხილი. აქ, ამ მუხნარში, თავი შეუყრიათ მესა-  
მე რაზმელებს, მღერიან, იცინან.

- რაღას უცდით?
- ყველანი მოვლენ! ერთად წავიდეთ!
- ფოთოლამ მოულოდნელად წამოიახა:
- მოიცათ, ჩემი ბეკა კვარაციხეზე უნდა  
ავიყავან!

— რა გგონია! ბეკა ჯიხვივით მარდია,  
ყველას გვაჯობებს!

- აბა, მომყევით! — დაიძახა გურანდიმ და  
ვიწრო ბილიკს აპყვა. დანარჩენები უკან მის-  
დევდნენ. ზოგს აბგა ეკიდა, ზოგსაც ხის ფოთ-  
ლები. ბახოს გრძელი ჩანთა ჩამოეკიდა. ფო-  
თოლას პატარა ფოტოაპარატი მოქმედდა.  
მიღიოდნენ ამაყად. ვიღაცამ წამოიწყო „კრი-  
სულას ბადე ვესროლე“.

მათ დიდი გეგმა ჰქონდათ. კვარაციხეზე  
უნდა ასულიყვნენ სამხედრო მსგლელობით.  
მათ უნდა გაერღვიათ ციხის მისასვლელი  
კარები, გაევლოთ გვირაბი და მიერწიათ  
მწვერვალისათვის, საიდანაც აღაიმობის მთე-  
ბი მოჩანს.

- გურანდი, ფეხი მაგრად დაადგი!
- ფოთოლა, წინ უყურე ბილიკს!
- ნელა მიდიოდნენ მეშვიდე რაზმის პიონე-

რები. ყველას წინ უსწრებდა ფოთოლას ვაცი. ერთი საათის შემდეგ კვარაციხის სვეტზე წამოყუნტული დათო ქუდს იქნევდა და იძახდა: აქეთ მოდითო! დიდ კლდეზე ჩამოქიდეს ჭაპანი, მოცოცავდნენ ნელა, ეხმარებოდნენ ერთმანეთს.

— ხელი მაგრა ჩასჭიდე, ბახო! — ჩაჰკივლა გურანდიმ.

— დარდი ნუ გაქვს, ყველაფერი ვიცი...

— ეფრემვერდიც წაგიკითხავს, არა? — ჩაიცინა ვიღაცმ.

— მაგისთანა ტყუილი რომ წამექითხოს, აქაც არ ამოვიდოდი!

— ნაცარქექიას ზღაპარია! — დაუმატა ბახომ.

ყველანი ავიდნენ. ისინი გასცემეროდნენ კვარაციხის ქვემოთ განლაგებულ სოფლებს, ხიხათის ქედებს, კონცხებს, ხოდაბუნებს. სოფლის ბოლოში მდინარე კრიხულა შხუილით მიძვრებოდა ხაესიან ლოდებში.

— ეს ციხე ძველია. აქ ოდესლაც თურმე თამარ მეფის ჯარები ყოფილან დაბანაქებული. ამ ხერელით ამოჲქონდათ წყალი. აქვე იყო ღუქნები, ეკლესია. აი ბალებიც. წლობით ცხოვრობდნენ. მიუვალი იყო. — უამბობდა გურანდი ამხანაგებს.

ცნობისმოყვარეობით უსმენდნენ პიონერები. ვიღაცამ ლოდსა ჰქირა ფეხი. ქვა ჯერ დაცურდა, მერე გრიალით დასრიალდა. ქვემოთ, ფერდში, ჩასულიყო ფოთოლას საამაყო ვაცი. ქვამ გვერდით ჩაუარა.

— ვაიმე! — დაიკივლა გოგონამ.

— დაეჯახა! — თქვა გურანდიმ და გაფითრდა.

— გადააგდო!

— ბიჭოს, ბუჩქმა შეაჩერა!

— ქვები ქვლივ მოგორავს!

— რას უყურებთ, რის შეგშინებიათ! ჩვენთან შიშს რა უნდა! გამოდით აქეთ! — დაიძახა გურანდიმ და მკვირცხლი თვალებით გაულიმა მეგობრებს.

— მოხსენით გვირაბს ჭაპანი! — ბრძანა მან.

— ახლავე! — თქვა დათომ და გაიძეცა. გვირაბიდან ძლივს გამოათრია ჭაპანი. მას ქამრებიც წააბეს. ნელა ჩაშევა გურანდი ციცაბო ფერდობს. ქვევით ხეობებში მოჩანდა კრიხულას სუფთა მორევი. კლდის გულიდან შეშინებული ქორი გამოფრინდა. ფრთების შრიალით გაემართა ხიხათისაკენ.

გასუნგული უცქეროდნენ.

გაღმა სოფლიდან დედაკაცები კიოდნენ:

— რას შერებით! ვინა ხართ?

გურანდიმ ბუჩქისაკენ გაიწოდა ხელი, გამხარი რტო მოხვდა და ძირს დაიწია. მეგობრებს, თითქოს ჭინჭრით დაუსუსხეს სხეულიო, ბუსუსები დაზარდათ. ერთმანეთს შეხედეს. აღარ სუნთქვადნენ. ჩიტების ურიამულმა დაარღვია მყუდროება. მათ მწყრალად გახედეს მეგობრებმა.

გაფითრებული უყურებდა ფოთოლა.

— ცოტაც, ჭაპანს მაგრა მოჲკიდეთ ხელი! — ამბობდა ბახო და ოფლს ხალათით იწმენდდა. ძლივს ამოდიოდა გურანდის ხმა ზევით, კლდის ნაპრალები იტაცებდნენ.


გურანდიმ ცალი ხელით ქამარი შეიხსნა, მოუქნია და ბუჩქს მოდო. მიიწია იქით. თიკანი არ იძრეოდა.

ვაჟი ქანდაკებასავით იდგა, გრძნობდა გადარჩენას. ნელ-ნელა ამოსწიეს, ამოიყვანეს ფოთოლას საყვარელი თიკანი. ერთი აურზაური შეიქნა. ჰქოცნიდნენ გულმაგარ გურანდის.

— მაშ როგორ გინდათ! — დაუმატა დათომ და თითონაც ბეჭების რხევით გაიძარა მათ წინ. გვირაბიდან კვლავ ჩამოქიდეს გრძელი ჭაპანი, ჯერ თიკანი ჩამოუშვეს, მერე რაზმი დაიძრა.

— ბილიკით იარეთ! — უყვიროდა გურანდი. ოქროსფერ თმებს ურხევდა კრიხულას ხეობიდან ამონაქროლი გრილი ნიავი. მან გადახედა მეგობრებს წყლიანი მომლიმარი თვალებით და თქვა:

— რაზმი ბრუნდება დანაკარგების გარეშე! აბა, ბიჭებო, ვაჟეაცური სიმღერა!





# ԵՎԱՅԱՑԼՈՒՄ

զիօսարուցես, հռմ մուղօթար  
հիշեն սանցըրուս մըցըլագ,  
Շենս տալլը ծի սօսարուլուս  
նաքըրՇյլլը ծի յըլաց։

մոջարաչքես, ցիաս ծնյըլլետշի  
ցացիպացը յըլցա,  
ցյլլս լորմոցոտ ցացիմացրեցն  
մոլոնոնտա լըլցա։

ար Շեցըլրկըս արասուցես  
ցյլլո չըրաց լուլո,  
ցաւըրացո մէրկը ծիսացն  
Շեն սամշոնձլու, — ծալու.

ցը, ոյացո, աթալցաթիրը աց,  
հիշեն սանցըրուս մըցըլագ,  
Շենս տալլը ծի սօսարուլուս  
նաքըրՇյլլը ծի յըլաց։

սամո վիլո, Շեմըց օւց  
մթոնձլցնս նախաց զայո,  
Շենս ցմորոնծա յարո հեցոտ  
սածոյցտշի ցա՛լուս.

## ՅԵՐՈ ԲԵՆՈՒՅ

(տօնուուսո, մբ-77 սկոլա, մբ-8 յլասո).



ծնյլու լամյա, սամնելու ծնյըլլա լամյ։

մոջոնարյ մացը հիրդուու մոյէագ այցս ցալամլուն,  
որցըլլու լումուու. արսաուրա ար օւմուս համյ,  
մեռլուու վյունս բալճա մոծյը ծիրը սիրուուտ  
դալլուու.

ցցասար լամյ՛ն, Շեցուշլու սամշոնձլու մոյաս,  
ցցասար աճայու լա մացարու սալու կլլուցսացու.

ցցասար, արժուու, լա սամշոնձլուս մոյիշ-վիյալս ուրաց,  
ցյլլու ցայսուրո մեշուրցալլու ցայցս նատյլ միյեսացու.

ցցուրդու լացիցը բաց յըրտցյլու դարայո էալլու,  
օւմուս էմա տիյեցն նածոյցը ծիս, որցըլլու կո ծնյլա...  
սինատլու մռհամս մեռլուու մռհուուտ դարայո սան-  
լուս,

ցյլլդաշնուրուլու լամյ մըցուծս ցաճամլուլ ցըլլագ.  
շպր մանցուու պյուրուս Շեմոյցնս հալաց եմայրու,  
մալլմա պյուրը ծամուցը ուրա, Շեպյուու հեյնա.  
ոյներա արուս նախաց մէրհուու յարո ծնցայրո?  
մացրամ... ի՞ս! օւմուս, օւմուս տուտյուն դալլուուլու վիյենա.  
վյունուու շյուրուա ամարտա, յըլպուա դալլու,  
չցոնու, տաց ցագուրին, ուրտենուու ածոյշը ծիս.  
շյուրուա ցմուս Շեյսանուու: « նելլը մալլա!  
սատ մոջոնար, ցյես սանցարնչ զար լաձոյշը».  
լա սուսեմ դոլուու Շեն նալուու տացուան ացպա,  
միյց սալուումծա, Շեն ամապագ ցարեմուս միյըրդո...  
Շեն ցմորոնծա կրյեմլուուսայբ մացալ ցիաս ցակցա,  
լունուուս սանուտ դացումշըցնյս ցմորուլու միյըրդո.

ՅԵՐՈ ՅԵՎԵԼՈՒ (կյուտաուսու პորցըլու սամշալու սկոլուս մուշացլու).

## გამაცი ვანო

მოსალამოვდა. მზემ უკანასკნელად გადმოსტყორცნა თავისი სხივები დედამიწას და დასავლეთისაკენ ჩაიძირა.

„მ დროს მოსაზღვრე სოფლის პიონერები „მესაზ-ზღვრობის“ თამაშობდნენ.“

პიონერ ვანოს, რომელიც სწავლაში წარჩინებულ მოს-წავლედ ითვლებოდა, „მესაზღვრის“ მოვალეობა ეკისრა.

ვანო იმდენად იყო გატაცებული ამ თამაშით, რომ თავის მოვალეობის გარეშე არაფერს არ აქცევდა ყურადღებას. ის შეუმჩნეველ ადგილას იყო შეფარებული.

ბინდი უფრო და უფრო ახლოვდებოდა. მინდვრებიდან მომავალი ხალხისა და ნახირის ხმა შეწყდა.

ვანომ ადამიანის ლანდი შენიშნა, რომელიც მისკენ მოდიოდა. ვანომ თავისი თავი ნამდვილ მესაზღვრედ წარმოდგინა და მომავალს შესძახა „სდექ“, მაგრამ მალე გმირებები და მოულოდნელ შეძახილზე შემკრთალ მგზავრთან ბოდიში მოიხადა.

მგზავრი მოხუცი გამოდგა.

— ძია! საიდან მობრძანდებით, ასე რომ დაღლილ-ხართ, ან სად მიბრძანდებით?

— მე აქვე სოფლიდან ვარ, ძროხა არ დაბრუნდა ამ სალამის ნახირიდან და საბჭოში მიედიგორ გამოსუცხადებლად,—უბასუხა უცნობმა—და გზა განაგრძო.

ვანო ამ სოფელში დიღსა და პატარას ყველას იცნობდა და მოხუცის სიტყვებში დაეჭირებული შორი-ახლო უკან გაჰყეა: მართლა საბჭოში მიდის თუ არაო.

მოხუცი მგზავრი მიუახლოვდა თუ არა გზაჯვარედინს, მიიხედ-მოიხედა და სწრაფი ნაბიჯით, თითქმის სირბილით წაგიდა. ვანო იმან უფრო დააჭირა, რომ მგზავრმა სხვა მიმართულებით გადაუხვია და იქვე ახლო სოფლის განაპირა ეზოში შეირბინა.

ვანომ გადაწყვიტა შეეტყო, თუ ვინ იყო ეს უცნობი. ის ელვის სისწრაფით გამოქანდა უკან, მიირბინა მესაზღვრეების სახუშავოსთან და ნანახი უამბო.

მესაზღვრეები დანიშნულ ადგილზე მივიდნენ.

შეაღეს სახლის კარები. უცნობი, რომელიც ვანოს გადმოცემით მოხუცი უნდა ყოფილიყო, აღმოჩნდა შუა ხნის კაცი. მან გაჰყევა დააპირა, მაგრამ დააკავეს.

უცნობს გაჩერეკისას აღმოაჩნდა სასროლი იარაღი და უცხო სახელმწიფოს დაფალებით შედგენილი რუკები და გეგმები.

8000ნ 6000შვილი

(ობილისი, მე-2 სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე).

შედენიში დები  
ლენი

ნანა, ნანა, შვილო, ნანა,  
დღეს დაგვიდგა დიდი ხანა,  
მზე სტალინმა წალკოტივით  
აგვიყვავა ეს ქვეყანა.

უხე ბარაქით, ოქროს ხვავით  
ავსებულა ბალი, ყანა.

ყველა ხარობს, ყველას თვალში  
სიხარულის სხივი მოჩანს.

ეს ცხოვრება სამური,  
სტალინის მზემ მოგვიტანა.

ნანა, ნანა, ნანა, შვილო,

იაგანა, გადაშლილი!

ღრუბლის ქულავ გაპუტულლო,  
მაისვით გაფურჩქვულო!

გამუშარდო უნდა გმირი  
და ვაჟაცი სასახლო,

რომ სტალინი — დიდი მამა

და სამშობლო ასახელო!

ასახელო საბჭოეთი

და მტრებს ჩასცე გულში დანა...

ახლა ტებილად დაიძინე:

ჩემო გგრიტო... ნანა, ნანა.

სადაც კვნესის სალამური  
და ფოთლებში შაშვი გალობს...

ალვის ტოტზე იადონი

შენზე ჰანგებს მუსიკალობს.

მზემ სხივები ფანჯარაში

შენს ალერსად გამოგზანა,

ჩაგეხვია ბროლის ყელზე,

ჩაგვოცნა და გეთაცვანა!

ღრუბლის ქულავ, მარგალიტო,

გაზაფხულის გარიგრაუ,

მამაშენი სასლვარზეა

დიდ სამშობლოს სადარაჯოდ.

რად მიღიმი? გაეგებარდა?

გსურს მშეასთან იყო თანა?

ჯერ ადრეა გენაცვალე,

დაიძინე... ნანა, ნანა...

დაიძინე, შვილო, ტებილად...

ნუ ტიტინებ წარამარა!

მზე ჩავიდა, მტრედის ფერით

იფანტება ცის კამარა.

ცამ თვალები გამოისხა,

ხევი ნისლით დაიდგრა...

ცა გაირღვა და მიწაზე

მოვარე ვერცხლად დაიღვარა...

ღოვეთი გოვიტიძე

(საჯავახოს სრ. საშუალო

სკოლის მოსწავლე).



საქართველო  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

### გელვა ჭავჭავაძე

საქართველოს სამოქალაქო საპარო ფლოტის  
სამართველოს უფროსი, ორდენისანი.

ეს მოხდა 1935 წლის ივლისში.

დილა იყო. ესაუზმობდი. სამართველოდან დეპეშა გადმომცეს. მე ის იქვე გავხსენი და ელვის სისწავეთი გადავავლე თვალი.

— ნუთუ?! — გავითიქმა უმალ, — ეს ის არის, რაზედაც ამდენი ხანია ვოკნებობ! დეპეშით მატყობინებდნენ, დაუყოვნებლივ გავფრენილიყვავი ზემო სვანეთში, მესტიიდან მძიმე ავადმყოფი ინჯენირის გადმოსაყვანად.

— ეს მშვენიერი შემთხვევაა: სხვა მიზეზით ვერ გადაწყდა გზის გახსნა იქით, დროა კი გაიხსნას ზემო სვანეთში ტრასი, თორემ ის კუთხე ხომ უტრანსპორტოა. სააგტომობილო გზაც კი არ არის, ზამთარ და ზაფხულ მარხილები...

მაგრამ ეს არც ისე უბრალო ამბავია, სვანეთში გაფრენა! ეს ხომ ზაქათალა — წნორისწყლის ხაზით ფრენა არ არის, ან ქობულეთის მინდვრების „პარიზის მწვანით“ მორწყვა თვითმფრინავიდან. ეს სულ იხალი საქმეა, ფრიად ძნელი, მაგრამ ამავე დროს საინტერესო ამოცაა, — გვიჭრობდი მე.

ჩემი ოცნება ასრულდა და ახლა ფიქრის დრო სადღარა. არის! გავფრინდე ზემო სვანეთში, — დავასკვნი მტკიცედ.

აულელვებლად და დაუინებით ვემზადებოდი რთული გაფრენისათვის.

დადგა უამი. ვიდრე თვითმფრინავზე ბეზინისათვის დამატებით ბალონს დგამდნენ, მე

აეროდრომის უფროსს ვებასებოდი სვანეთის რუკაზე, რომელზედაც ჯვრით იყო აღნიშნული დაშვების აღგილი.

თბილისმა გამაცილა. ქუთაისამდე გაფრენა ჩვეულებრივი იყო. იქაც შეხვედრა... საქართველოდან მე პირველს უნდა გამერღვია სვანეთის თალის სქელი ღრუბლები და ეს ბევრში იწვევდა ცნობისმოყვარეობას.

თვითმფრინავი მსუბუქად მოსწყდა მიწას. დავიწყე სიმალლის აღება და რამდენიმე წუთის შემდეგ გადაველი ლათფარის გადასავალზე, რომლის იქითაც გაწოლილიყო სვანეთი. გადასავალის ქიმი გარკვევით გამოიყოფოდა კიბილანა კლდეებიდან და დათოვლილი მინდვრებიდან ლურჯ ცის ფონზე.

სვანეთიდან ქარი ქროდა და თვითმფრინავის შუბლს ვერა და ვერ ასცდა მისი იერიში. მიძნელდებოდა სიმალლის აღება, ამიტომ ხშირად ძალზე დაბლა ვეშვებოდი, ისე დაბლა, რომ მანქანის კაბინიდან გარკვევით ვხელავდი სვანეთის მიხეულ-მოხეულ ბილიკებს. ერთ ბილიკზე სვანს მოვკარი თვალი, ის ცხენზე იჯდა; როდესაც თვითმფრინავი ისე დაბლა დავუშვი, რომ მისი ფრთები თითქმის შეეხო კლდის ქვებს, სვანმა შუბლზე მიიჩრდილა ხელი და განცვითორებით დაიწყო ყურება, მე კი კვლავ სწრაფად ავიდე სიმალლე და სულ ორიოდე წუთის შემდეგ თვალიდან მომეფარა ის ბილიკიცა და სვანიც თავისი ცხენით.

ჰემი! აი, რა არის საჭარო გზა. ჩემი თვით-  
მფრინავი საცაა გაჩნდება მესტიაში, ის სვანი  
კი კიდევ სამ დღეს იღლის თავისი ცხენით და...

გამიელვა თავში, როდესაც ჩემს წინ გა-  
მოჩნდა მესტია თავისი ცნობილი სვანური ციხე-  
კოშკებით. საათს დაეხედე. ფრენას თურმე  
ერთი საათი და 20 წუთი მოვანდომე.

მესტიის ჩრდილოეთით ინგურის ნაპირზე  
გამოჩნდა მინდორი, სწორედ ის, რომელიც  
სვანეთის რუკაზე დაშვების ადგილად იყო ალ-  
ნიშვნული. მაგრამ ის რატომლაც ლაპლაპებდა,  
თითქოს წყლით იყო დაფარული.

მანქანის მექანიკოსმა ხელი მხარზე დამადო  
და ჩამოძახა:

— წყალია!

— როგორ არ გააფრთ-  
ხილეს ესენი, სად დავჯ-  
დეთ? — ვუპასუხე და გავა-  
კეთე რა ორი წრე, დავეშვი  
ხეობისაკენ.

მესტიის მახლობლად ინ-  
გურის მარჯვნივ მოჩანდა  
პატარა სოფელი. მთების და-  
ქანებაზე, რომლებიც განიერი  
კალთებით ეშვებოდნენ ინ-  
გურისაკენ, გადაშლილი  
მოყავისფრო მინდვრები, სი-  
დანაც, ეტყობოდა, მოსავალი  
უკვე აელოთ.

— აქ შეიძლება დაშვება,  
— გამიელვა აზრმა.

ინგურის მარცხენა ნაპირი ტყიანი ციცა-  
ბოთი ეშვებოდა მდინარეში, ხოლო მინდორი  
მარჯვნივ დაქუცმაცებული იყო რამდენიმე  
უსწორმასწორო ნაკვეთად.

— ასეთ მდებარეობაზე დაშვება სახითა-  
თოა, მანქანას დავამსხერევ, — გავითიქრე და  
თვითმფრინავი უმალვე ზევითკენ მივმართე;  
შემდეგ კვლავ გავატრინე მანქანა მდინარის  
მარცხენა მხარეს. და ასე რამდენჯერმე ჩავუქრო-  
ლე ინგურის ხან მარჯვენა და ხან მარცხენა ნა-  
პირებს: გაძნელდა დაშვებისათვის შესაფერისი  
ადგილის პოვნა.

ბოლოს გადაეწყვიტე დაგშვებულიყავი ინ-  
გურის მარცხენა მხარეზე ხეობის ქვევით, მე-

ექვსე ყათარზე. იქ ეს-ეს იყო თიბევა დაე-  
მთავრებინათ. მოსავალს არ დავაზიანებდა და  
ადგილიც უფრო შესაფერისი მოჩანდა დასა-  
შვებად. ასეც მოვიქეცი.

მესტიიდან მალე გაჩნდნენ ცხენოსნები. მათ  
სახეზე მოულოდნელი სიხარულის იერი დავი-  
ნახე, როდესაც დავამთავრე თვითმფრინავის  
დათვალიერება და ჯერ ისევ ჩაჩიქილმა შევ-  
ხედე მათ. მექანიკოსი კვლავ მოტორს ატრი-  
ალებდა.

ერთმა მოსულთავანმა ველარ მოითმინა,  
მიირბინა მასთან, მხურვალედ გადაკოცნა და  
აღფრთოვანებით შესძახა:

— ჩვენ ბედნიერნი ვართ!  
იქვე მეორე გაჩნდა მასთან  
და ეკითხება:

— ყველაფერი ხომ რიგ-  
ზეა?

მექანიკოსმა გაულიმა და  
ჩემქენ მოუთითა. ისინი ახლა  
ჩემთან მოვიდნენ.

— ხელმძღვანელობა ხართ,  
ალბათ, არა? — მიგმართე.

— რაიკომის მდიგანი ვარ,  
მიშა პირველი, — გამეცნ  
ერთი და შიმითითა გვერდით  
მდგომზე: — ეს რაიაღმასკო-  
მის თავმჯდომარეა.

— რატომ აქ დაეშვით?  
ჩვენ გვაქვს აეროდრომი,  
მეუბნება რაიკომის მდიგანი.  
მე გამელიმა.

— თქვენს აეროდრომზე სათხეველი თუ შეი-  
იძლება დადგათ, თორემ თვითმფრინავი...

საუბარი ერთხანს გავაგრძელეთ. შემდეგ  
მექანიკოსს უჟავარე მანქანა წესრიგში მოე-  
ყვანა, მე კი მასპინძლებს გავყევი მესტიაში  
ცხენით.

ავადმყოფი მაშინვე ვინახულე და გადაწყვე-  
ტილიც მქონდა მისი წმოყვანა მეორე დღესვე,  
დილით, მაგრამ ფრენისთვის შეუფერებელი  
ამინდის გამო გაფრენა გადაიდო. დღე უქმად  
არ გაგვიტარებია.

რაიკომის მდიგანმა, რომელსაც ადრევე შე-  
ეტყო ჩვენი შეფერხების შესახებ, დილითვე  
მიირბინა ჩემთან და მეუბნება:



შალვა შანკოტაძე

— რა იქნება, მოხუც სვანებს თვითმფრინავი-  
ლან რომ ვაჩვენოთ სვანეთი? აი, მე ფურცლე-  
ბიც დაგაბეჭდინე. შემოუფრინოთ სვანეთს ახ-  
ლავე ირგვლივ, ჩამოყაროთ ეს ფურცლები

და კაცებმა, რომ მათ თავისი სამშობლო საბჭო-  
თა თვითმფრინავის ფრთხებიდან დაინახონ”.

რაიკომის მდივნის ეს აზრი ძლიერ მომეტული  
ნა, დავეთანხმე.

**მართლაც ტრიუმფა-**  
ლური ზეიმი იყო მეს-  
ტიაში იმ დღეს. აერო-  
დრომი, რომლის წეს-  
რიგში მოყვანა უკვე  
მოქმდიოთ სვანეთის  
მცხოვრებთ, ვავსილიყო  
ხალხით. განსაკუთრებ-  
ით მოგხვდებოდნენ  
თვალში მოხუცები და  
ბავშვები.

იმ დღეს თვითმფრი-  
ნავის კაბინიდან გაღ-  
მოუსვლელად ოცდა-  
თორმეტჯერ შემოვუ-  
ფრინე მესტიის მიდა-  
მოებს და დღის სრულ  
თორმეტ საათზე უკა-  
ნასკნელი, ყველაზე მო-  
ხუცი, მგზავრი გადმოვ-  
სვი, რომელმაც ღიმი-  
ლით შემომხედა და შეს-  
ახა:


— ლაიდ ეზერ! \*

თბილისში გაფრენის  
დრო ახლოვდებოდა.  
მანქანას უკანასკნელად  
ვათვალიერებდი, სვა-  
ნებს ავადმყოფი მარ-  
ხილით მოევანათ.

დაყოვნება აღარ იყო  
საჭირო. გულთბილად  
გამოვემშვიდობე სასია-  
მოვნო მასპინძლებს,

რომლებიც უზომი კმაყოფილებას გამოთქვამდ-  
ნენ. მეც ჩემის მხრივ მაღლობა გადაეუხადე მათ  
და ჩემი ადგილი დავიკავე. ავადმყოფი მოათავ-  
სეს საკაციდან მანქანაში. დავძარი რა თვითმფ-  
რინავი სვანური მიწიდან ჰაერში, ერთხელ კიდევ  
გადმოვახა გმაღლობთ მეთქი და ავადმყოფი  
მგზავრით თეთრ ღრუბლებს შეეუერთდი.

\* ძალიან კარგია.



თვითმფრინავიდან და, გარშემუნებთ, მთელი  
სვანეთი აეროდრომზე მოიყრის თავს. წა-  
რმოიდგინეთ, რა ტრიუმფი იქნება.

ეს თქვა და ფურცლები მომაწოდა, რომელ-  
ზედაც ეწერა: „სვანებო! გამოგზავნეთ მესტია-  
ში ყველაზე მოხუცები! დევ, სვანეთის ყველა  
კუთხიდან თავი მოიყარონ მოხუცმა ქალებმა

# შემაძი მოძიევლეულის სტილი

(ზღაპარი)

ოდესლაც ცხოვრობდა ერთი ლარიბი შე-  
შისმჭრელი; დილიდან შუადღემდე მუშაობდა.  
როცა ცოტაოდენ ფულს თავი მოუყარა, თა-  
ვის გას უთხრა: „შენ ჩემი ერთადერთი შეი-  
ლი ხარ. მე მინდა, რაც კი ფული იფლითა  
და დაგვით შემიძენია, შენს სწავლას მოვახმა-  
რო, თუ რამე სასარგებლოს შეისწავლი. მა-  
შინ, როცა დავბერდები, როცა სხეული მო-  
მიღუნდება და იძულებული გავხდები სახლში  
ვიჯდე, მატევე და მასმევ“.

ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებელში შე-  
ვიდა და ისე მუყაითად სწავლობდა, რომ მა-  
სწავლებლები აქებდნენ. როცა კარგა ხანი იქ  
დატყო და რამდენიმე კლასი დაბამთავრა, მაგ-  
რამ ჯერ კიდევ ყველაფერში არ იყო საკმაოდ  
დახელოვნებული, მამის შემონახული მცირე  
თანხა გაუთავდა და ყმაწვილი იძულებული შე-  
იქნა შინ დაბრუნებულიყო. მამამ მწუხარედ  
უთხრა: — ეჭ, შვილო, მეტის  
მოცემა აღარ შემიძლია, ამ  
სიძირის დროს, ლუქმა პუ-  
რის გარდა, ერთ ფარასაც  
კი ვერ ვშოულობ.

საყვარელო მამა, — უპასუხა  
შეილმა, — ამაზე ნუ იშუხებ,  
ამ მდგომარეობასაც შევურიგ-  
დებით. როცა მისამ დააპირა  
ტყეში წასვლა, რომ ჩის მო-  
კრასა და დალაგებაში ცოტა  
რამ ეშოვა, ვაჟმა უთხრა: მეც  
მინდა შენთან წამოვიდე და  
მოგეხმარო. — კარგია, შვი-  
ლო, მაგრამ ვაგიშირდება,  
ასეთ მძიმე მუშაობას შენ არა  
ხარ შეჩერეული და ვერ აიტა-

ნო; გარდა ამისა, მე მხოლოდ ერთადერთი ნა-  
ჯახი მაქვს და ფულიც არ გამაჩნია, რომ მეორე  
ვიყიდოო. — მეზობელს სთხოვე, გათხოვებს, სა-  
ნამ მე თვით მოვახერხებდე ნაჯახის შეძენასო, —  
უპასუხა შვილმა.

მამამ მართლაც ინათხოვრა მეზობლისაგან  
ნაჯახი და მეორე დღეს გათხებისას მამა და  
შვილი წავიდნენ ტყეში. შვილი მუყაითად და  
მხიარულად ეხმარებოდა მამას. როცა მზე გა-  
დაიხარა, მამამ უთხრა: ახლა კი დავისვენოთ  
და ვისადილოთ, შემდეგ კიდევ უფრო კარგად  
ვიმუშავებთო. შვილმა აილო თავისი კერძი პუ-  
რი და მიმართა მამას: შენ დაისვენე, მამა, მე  
კი დაღლილი არა ვარ. ტყეს მოვიყლი, იქნებ  
სადმე ჩიტების ბუდე ვნახოო. — აი შე ჩიტირე-  
კია, რა გესეირნება, დაიღლები და ხელსაც  
ვეღარ გააძძრევ, აქ დაჯევ და მოისვე-  
ნეო, — უპასუხა მამამ.

შვილი მაინც წავიდა ტყე-  
ში; მხიარულად ილუკმებოდა  
პურს და თან ათგალიერებდა  
ტოტებს, იქნება სადმე ბუდეს  
მოვჰკრა თვალიო. ასე მიმო-  
დიოდა ყმაწვილი, სანამ არ  
წააწყდა ერთ უზარმაზარ  
მუხას, რომელიც მრავალი  
ასეული წლის იქნებოდა და  
ხუთი კაციც კი ვერ შემო-  
ხევდა ხელს. ყმაწვილი გა-  
ჩერდა, შეაჩერდა და ფიქ-  
რობდა: აქ, უეჭველია, არა  
ერთ ჩიტს აქვს ბუდე ჩადგმუ-  
ლიო. ბოლოს მოეჩენა, თოთ-  
ქოს რაღაც ხმა ესმის. ყური





დაუგდო და გაიგონა, თითქოს ვიღაცა გაგუდული ხმით იძახოდა: ზევით ამომიშვი, ზევით ამომიშვიო. მიმოიხედა, მაგრამ ვერაფერი შეამჩნია, მხოლოდ მაინც ეჩვენებოდა, რომ ხმა ქვევიდან, მიწიდან ამოდიოდა. მაშინ ყმაწვილმაც დაუძახა: სადა ხარომ ხმაშ უპასუხა: მე ქვევითა გარ, მუხის ძირთან, ამომიშვი ზევით, ამომიშვი ზევითო. მოწაფემ დაიწყო ხის ძირის მოსუფთავება და ფეხსვებში ძებნა, სანამ არ ნახა ერთერთ პატარა ღრუში შუშა. შეგირდმა ბოთლი მაღლა ასწია, მზის შუქე გახედა და დაინახა ბაყაყის მსგავსი რაღაც არსება, რომელიც ზევით-ქვევით ხტოდა. „ზევით ამომიშვი, ზევით ამომიშვი“ — ისევ დაიძახა მან, და შეგირდმა, რომელიც ცუდს არაფერს ელოდა, შუშას საკობი მოხსნა. მაშინვე ამოვიდა სული, რომელიც იზრდებოდა და ისე სწრაფად იზრდებოდა, რომ რამდენიმე თვალის დახამხამებაში მის წინ დადგა რაღაც ახმახი, ნახევარი ხის ოდენა საზარი სულიერი. — იცი შენ თუ არა, — დაიყვირა მან საშინელის

ხმით, — რა გასამრჯელო გერგება ჩემი განთავისუფლებისათვისო? — არ ვიცი, — თამამად უქასუხა შეგირდმა. — ან კი საიდან უნდა ვიცოდეოს? — მაშ მე გეტყვიო. წინდაწინ რომ გეოჭქა, შეედავა შეგირდი, — აღარ ამოვიყვანდი, მაგრამ ჩემი თავი მე უნდა შემრჩეს, სანამ ხალხს არ დავეკითხებითო. ზოგი ასე იტყვის და ზოგი ისე, მაგრამ დამსახურებული გასამრჯელო მაინც უნდა მიიღოთ, — დაუყვირა სულმა, — შენ გვინია, მე მოწყალებით ვიყავი ამდენს ხანს შუშაში ჩაკეტილი? არა, სასჯელს ვიხდიდი. მე ვარ ძლევამოსილი მერკურიუსი და ვინც გამათავისუფლებს, მას კისერი უნდა მოვტეხოო. — მომითმინე ერთი, — უპასუხა შეგირდმა, — ასე აჩქარებით არ შეიძლება, უპირველეს ყოვლისა მეც უნდა ვიცოდე, რომ შენ შუშაში იჯექი და რომ შენ მართლაც სული ხარ; თუ შესძლებ და ისევ შუშაში ჩაძვრები, მაშინ დავრწმუნდები და შეგიძლია რაც გინდა ის მიყო. სულმა მეღიღურად უპასუხა: ამას დიდი ხერხი არ სჭირდებაო, შეიკუშება და ისევ დაპატარავდა და დაწვრილდა, როგორც წინათ იყო, და შუშის ყელში ჩაძრა. მაგრამ როგორც კი სული შუშაში ჩაძრა, შეგირდმა შუშას თავი დააცა და იგი ძეგლს აღვილზე მიაგდო მუხის ძირში. ასე მოტყუფდა სული.

შეგირდს უკვე მამასთან დაბრუნება უნდოდა. ახლა სულმა დაიწყო საწყლად ძახილი: ამომიშვი, ამომიშვიო. — არაო, — უპასუხა შეგირდმა, — მეორეჯერ ვერ ამოვიშვებო; ვისაც ერთხელ ჩემი მოკვლა უნდოდა, იმას როგორ გავუშვებ, როცა ხელში მოვიგდო? — თუ გამათავისუფლებო, — დაიყვირა სულმა, — იმდენს მოგცემ, შენს სიცოცხლეში გეყოსო. არაო, — უთხრა ისევ შეგირდმა, — შენ ახლაც მომატყუფებ, როგორც პირელად მომატყუეო. — ბედას ჰერაგავო, — უთხრა სულმა, — არაფერს მოგწევ და დიდადაც დაგასაჩუქრებო. შეგირდმა გაიფიქრა: მოდი ერთი ვსინჯავ, იქნებ სიტყვა ამისრულოს, ფათერაქს კი, მგონი, ვერ შემყრისო.

შეგირდმა შუშას საცობი მოხსნა თუ არა, სული, როგორც წინათ, ახლაც ამოვიდა, გადიდა და ბუმბერაზის ოდენა გახდა. მიიღე შენი გასამრჯელოო, — უთხრა შეგირდს სულმა და გაუწოდა სალბუნის მსგავსი სულ პატარა

მჩვარი და დაუმიტა: ერთ ბოლოს თუ ჭრილობას გადაუსვამ, ჭრილობას მოარჩენს, ხოლო მეორე ბოლოს თუ ფოლადსა და რეინას გადაუსვამ, ვერცხლად გარდაქმნისო. — ჯერ უნდა გაისინჯო, — უთხრა შეგირდმა, აიღო ნაჯახი და ხეს ჭდე გაუკეთა, შემდეგ გადაუსვა სალბუნის ერთი ბოლო, ჭდე მაშინვე შეიკრა და ხე გამთელდა. ეს კი ნამდვილი ამბავიაო, — თქვა შეგირდმა, — ახლა შეგვიძლია ერთმანეთს დავშორდეთო.

სულმა შეგირდს მადლობა გადაუხადა განთავისუფლებისათვის, შეგირდმა კი სულს მადლობა უთხრა საჩუქრისათვის და წავიდა მამასთან.

— სად დახეტიალობდიო? — შეეკითხა მამა. — მუშაობა რად დაიგიწყე? აკი გითხარი, შენ საქმეს თავს ვერ მოაბამ-თქო!

— დამშვიდდი, მამა, კიდევ მოვასწრებო, — უპასუხა შვილმა.

— მოასწრებ, დიახ! — ამბობდა გაბრაზებული მამა. — ასე მუშაობა არ შეიძლება!

— მამა, აი, აგრე რომ ხეა, მისი მოჭრა მინდა, და შეხედე ერთი როგორ ხრიტინ-ხრიტინით წამიოვაქციო, — უთხრა შვილმა, თავისი ნაჯახის სალბუნი გადაუსვა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ხეს შემოჰქრა, მაგრამ ნაჯახი ვერცხლად გადაქცეულიყო და პირი გადაეკეცა. — მამა, შეხედე ერთი, რა ცუდი ნაჯახი მოგიცია, პირი სულ ერთიანად მოეკეცაო. მამა შეშინდა და უთხრა: — ეს რა გიქნია, ახლა ნაჯახის ფასი უნდა გადავიხადო და არ გიცი კი საიდან... ასეთ სარგებლობას მაძლევს შენი მუშაობა?! — ნუ ჯავრობ, მამა, ნაჯახის ფასაც მე გადავიხდიო, — მიუგო ვაუმა. — აი შელენჩი! — დაუყვირა მამამ, — შენ საიღან უნდა გადაიხადო, შენ ხომ მე რასაც არ მოგცემ, მეტი არაფერი გაგაჩნიაო! ხის ჭრისათვის მოსაზრება არ გყოფნის, სტულენტების ოინებით გაქვს თავი გაბერილიო!

ცოტა ხნის შემდეგ შვილმა უთხრა: — მამა, მე მეტი მუშაობის თავი აღარ მაქვს, სჯობია

ავიუქმოთო. — ეჭ, შენ გონია მეც შემიძლია შენსავით გულზე ხელები დავიკრიფო? მე კი-დევ უნდა ვიმუშაო, შენ კი წადი შინაო, — მწუხარებით უპასუხა მაბამ. — მაბა, მე, პერველად ვარ ამ ტყეში, მარტო გზას ვერ გავიგნებ და ბარემ შენც წამოდიო.

მამას სიბრაზე განელებოდა, დაეთანხმა შვილს და შინ დაბრუნდა. გზაზე მამამ უთხრა შვილს: ეს გაფუჭებული ნაჯახი გაყიდე და გაუფრთხილდი, რასაც აიღებ; დანარჩენი უნდა გამოვიმუშავო, რომ მეზობელს ნაჯახის ფასი გადავუხადოო. ვაუმა აიღო ნაჯახი და ქალაქში ერთ ოქრომჭედელს მიუტანა, რომელმაც გასინჯა, სასწორზე აწონა და უთხრა: ოთხასი ტალერი ლირს, მაგრამ ამდენი ფული მე არ მაქვსო. შეგირდმა უპასუხა: მომეცი რამდენიც გაქვთ, დანარჩენი თქვენზე დარჩესო. ოქრომჭედელმა გადასცა სამასი ტალერი და ასი ტალერი ვალად დაიტოვა. როცა შეგირდი შინ ლაბრუნდა, მამას უთხრა: მამა, ფული მაქვს, წაბრძანდი, მეზობელს ჰყითხე, რამდენი უნდა იმ ნაჯახშიო. ეს მე თვითონ ვიციო. მაშ, მამა, ორი ტალერი და თორმეტი გროში მიუცი, ე. ი. ორჯერ მეტი, მე ფული თავზე საყარი მაქვსო მისცა მამას ასი ტალერი და დაუმატა: აწი, მამა, შენ არაფერი არ უნდა მოგაყლდეს, იცხოვრე ბედინერადო. — როგორ გამდიდრდიო? — გაუკერდა მოხუცს. შვილმა უმაბო, რაც მოხდა, როგორ მიენდო თავისი ბედს და ასეთ სიმდიდრეს როგორ გადაეყარა.

დანარჩენი ფულით შეგირდი ისევ დაუბრუნდა უმალეს სასწავლებელს, განაგრძო სწავლა და, რაღაც თავისი სალბუნით ყოველი ჭრილობის მორჩენა შეეძლო, მთელს ქვეყანაზე უშესანიშნავესი ექიმი გახდა.

6. ლორთხილის  
თარგმანი გერმანულიდან.



# პიონერი

№ 3

„ПИОНЕРИ“

Журнал Центр. Комитета ЛКСМ Гр. и Наркомпроса Грузии (на грузинском языке).

Издательство „Комунисти“. Адрес редакции: Тбилиси, Грибоедова, 34. Тел. 3—02—61.

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ., № 34. ტელ. 3-02-61.

შ ი ნ ა რ ს ი

1. გიორგი ჭუჩიშვილი—ცულლუტი (ლექსი) . . . . .	83.	7. ლილია მეგრელიძე—რა დილაა (ლექსი) . . . . .	გარეკანის მე-2 გვ.
2. ცქვიტი (ანა ხახუტაშვილი)—თეთრი მეწყერი (მოთხრობა) . . . . .	2	8. ქეთო ჭუჩიაშვილი—გაზაფხული (ლექსი) . . . . .	გარეკანის მე-2 გვ.
3. აკაკი გოცირიძე—კვარაციხე (მოთხრობა) . . . . .	6	9. როზა თავდიღაშვილი—ამოცანა-ანგარიში (გა- სართობი) . . . . .	გარეკანის მე-3 გვ.
4. ნორი აგტორთა შემოქმედება . . . . .	8	10. ნატო ჩუბინიძე —სად დაიკარგა ერთი დღე .	გარეკანის მე-3 გვ.
5. ზალვა ჭანკოტაძე—პირველი გაფრენა მესტავაში (მოგონება) . . . . .	10	11. ნორი ნატურალისტთა წრე. დღიური მეორე .	გარეკანის მე-4 გვ.
6. ძმები გრიმები—შუშაში მომწყვედეული სული . (ზღაპარი, თარგმანი ნ. ლორთქიფანიძემ) . . . . .	13		

უზრნალი გაფორმებულია მხატვ. ივ. ჯაფაშვილისა და გ. გორდელაძის მიერ;  
გარეკანზე: გაკვეთილი საამქროში (სახელოსნო სასწავლებელი) ნახატი რ. რევაზიშვილისა.

პასუხისმგებელი რედაქტორი—ა. რ. ლულარიძე

ტირაჟი 14.770. ხელმოწ. დასაბ. 7/IV 41 წ.

უ 19765 ანაწყ. ზომა 8 $\frac{1}{4}$  × 12 = 75.200

სასტამბო ფორმ. რაოდ. 1

სააგრძორო ფორმა 2

გამომც. № 17.

სტ. შეკვეთა 405.



ლ. პ. ბ ე რ ი ა ს სახელობის პოლიგრაფიული კომპინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლექსინის ქ., № 28.

სოფ. თავდიღიშვილი

## ამოცანა — ანგარიში

(ხალხურიდან)

დედამ და მამამ შეიღები სასეირნოდ წაიყვანეს ქალაქ გარეთ, თან საუზმეც წაიღეს; ბავშვებს მათი განუყრელი მეგობარი ბუნგლიაც ახლდათ.

დედამ ხის ქვეშ ხალიჩა გაშალა, კველანი ზედ დასხდნენ. მამა წიგნის კითხვეს შეუდგა, დედა ქსოვას, ხოლო გუგა და ლია იქვე ბურთს თამაშობდნენ.

თამაშით რომ გული მოიჯერეს, დედას თხოვეს, მათი ულუფა მიეცა და მახლობელ გორაკზე ისაუშებდნენ.

დედამ გუგას სამი ხაჭაპური ისიცა, ხოლო ლიას ორი.


მხიარული ბაგშვები გორაკზე ივიღნენ. ბუნგლია მათ არ შორდებოდა. ის-ის იყო და-ძმამ დააპირა საუზმის ჭამა, დაინახეს მათვენ მომავალი შოთა; რომელსაც ბუნგლია კუდის ქნევით მიეცება. შოთას ხელში ხუთი ატამი ეჭირა, რომელიც მახლობელ კოლმეურნეობიდან წამოეღო.

გუგამ და ლიამ შოთა საუზმეზე მიიწვიეს, ხეთი ხაჭაპური ისე დაჭრეს, რომ სამივეს თანასწორი რაოდენობა ერგო. შოთას შინ მიეჩქარებოდა, და-ძმას მაღლობა გადაუხადა, ხუთივე ატამი უთავაზა და წავიდა. გუგამ უთხრა ლიას: — ჩემი სამი ხაჭაპური იყო, მე სამი ატამი მერეცება!

— არა, ჩენ სამივემ თანასწორად ვქამეთ ხაჭაპური, მაშასადამე, ატმებიც თანასწორად უნდა გავინაწილოთ, — მიუგა ლიამ.

და-ძმის დავაში მამა ჩაერია, ჩხუბის მიზეზი გამოარევია და უბრალო ძრითმეტიყული გამოანგრიშების საშუალებით მოარიგა ისინი.

გამოიცანით, რამდენი ატამი ერგებოდა გუგას და რამდენი ლიას?



პირველად დედამიწას მაგელანია შემოურა 1519 წელს.

რამდენად ძელი იყო ეს იმ დროს, ამას გვიჩვენებს ის ფაქტი, რომ დედამიწის ირგვლივ შემოვლაში მონაწილეობას იღებდა ხუთი გემი 265 მგზავრით, ხოლო უკან დაბრუნდა მხოლოდ ერთი გემი 18 მგზავრით. თვით მაგელანიც გასაშეი დაიღუპა. მაგრამ კველაზე გასაცირი ის იყო, რომ მგზავრობაში ერთი დღე დაკარგეს.

მოგზაურინი, თავისი ყოველდღიური ჩანაწერების მიხედვით, ესპანეთში თოშაბათს უნდა მისდგომოდნენ ნაცასადგურის ნაპირს, ჩავიდნენ კი ხუთშაბათს.

სად დაიკარგა ერთი დღე?

მოგზაურობა აღმოსავლეთიდან დასავლეთით წარმოებდა. მნის სხივების ქვეშ ისინი ყოველდღე, შედარებით მეტ დროს იყოფებოდნენ, გიდრე რომელიმე ადგილზე მცხოვრები. მესავრების დღე-დამე გემებზე გრძელდებოდა 24 საათი და 1,3 წუთი. მათი გამგზავრებიდან დაბრუნებამდე 1124 დღე-ღემე გავიდა, ხოლო გვერდზე კი 1123 დღე-ღამე.

უკეთ გაგებისათვის ეიმსჯელოთ ასე: თუ მგზავრების დღე-ღამეს გემზე 1,3 წუთი ემატებოდა, საჭიროა  $1124 \times 1,3 = 1461,2$  წუთი, ეს კი გავყოთ 60 წუთზე (საათში ხომ 60 წუთია) და მივიღებთ 24 საათსა და 37 წუთს, ანუ ერთი დღე-ღამე და 37 წუთი. ცადია, ისინი თოშაბათის ნაცვლად ესპანეთის სანაპიროს ხუთშაბათს დაბრუნდებოდნენ.

ძველად ეს არ იცოდნენ, ახლანდელი მგზავრებისათვის კი ეს ამბავი მოულოდნელი არ არის. ამჟამად დადგენილია ეგრეთშოდებული თარიღის სასღვაო.

აღმოსავლეთიდან დასავლეთი მოგზაურობის დროს ამ საზღვარზე გადასველის უცბათ გადადისართ მეორე დღეზე, ე. ი. მგზავრები კალენდრიდან ორ ფურცელს ერთად ახვევა, ხოთო დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მოგზაურობის დროს, თარიღის საზღვარზე გადასველის მომენტში კალენდრიდან ფურცელს არ ახვევა და თრი დღის გამოვლობაში ერთი და იკიდე რიცხვით მგზავრობენ.

ეს თარიღის საზღვარი გატარებულია დიდი წენარ კუკანის სიეთ ნაწილზე, სადაც მისი ნაპირები უდაბნოს წარმოადგენს და ერთი დღის დრაკარგვა — წამატება არავის არ უქმნის უხერხებულობას.

# ნორჩი-ნატურალისტია წრე

1960, ნოემბერი, 10

(დღიული დან)

სევ ზამთარი იყო, თებერვლის ცივი დღე.

ჩვენ კვლავ ვესტუმრეთ ბოტანიკურ ბაღს. ჯერ ბუნება არ გადი-  
ძებულიყო. ისევ ისე დაღვრებით გამოიყურებოდნენ გაძარცული  
ხეები, ისევ ისე უსიცოცხლილ იღვნენ უფოლო ჩირგვები...

მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ აქ, ბაღში, დაგვხვდებოდნენ აუგავებული შეკ-  
ნახები. ზოგი მათგანი უკვე ვნახეთ და შევისწავლეთ აღრე, ზოგს კი ახლა  
გავეცნობოდით.

უფროსმა აგრონომმა ერთ პატარა ხეივანში შეგვიყვანა. ხეების ტოტებქვეშ  
ძირს გაშლილიყვნენ მოთეთო-მოწითალო უვაკილები.

— ეს ენძელა, — ავდისნა აგრონომმა. — ივი ზამთრობით ყვავის, თოვლში,  
ყინვაში. გთქათ, მიწა დაუარულია ერთი მეტრი თოვლით. ოქვენ გვინიათ, ენძე-  
ლას შეეშინდება? არა. ამოიწვერება მიწიდან, შეიჭრება თოვლში და მაინც  
აუგავდება.

ახევვ ზამთრობით, თებერვალში, ყვავის ნუში. აი, წაგიდეთ, ვნახოთ.

წავედით. ათიოდე ნაბიჯის გავლის შემდეგ მივუახლოვდით აუგავებულ  
ხეებს. თეთრი ყვავილებით გადაძენ ილიურ ტოტები.

აგრონომმა გვიაშნო ხალხური იქმულებები ნუშის შესახებ, შემდეგ გვესა-  
უბრა ნუშის ცხოვრებასა და მნიშვნელობაზე. სხვათაშორის, გვითხრა, რომ  
ნუშის ნაყოფისგან მშვენიერი, უძვირფასესი ზეთი მზადდება, ნუშის ნაყოფი  
მეტად გვმრიელიათ.

იმავე დღეს ჩვენ ვნახეთ აუგავებული თხილი. თუმცა თხილის ყვავილი  
იხეოდე ლამაზი და მომხიბლველი არ იყო, როგორც ენძელისა და ნუშის, მაგრამ  
მაინც საინტერესო გამოდგა ჩვენთვის.

აი რა გვითხრა ამ ყვავილის შესახებ აგრონომმა:

— ხელავთ, პატარებო, როგორი მოგრძო ყვავილები ჰქიდია თხილის ტო-  
ტებზე? ეს მამრობითი ყვავილებია, მაგრამ კიდევ არის ეგრეთწოდებული დედრო-  
ბითი ყვავილები. აი, თუ კარგად დაუკავირდებით შეამჩნევთ მათ კვირტის ძირე-  
ბში. ამათ ანაყოფიერებენ გრძელი ყვავილები და აქედან ჩნდება თხილი.  
მამრობითი ყვავილები სავსეა თავისი მტვერით, აბა გაარჩევთ ტოტი!

ჩვენ ტოტი დავარჩიეთ. შეერში მტვერი დადგა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს მეცალინეობაც მეტად საინტერესო გამო-  
დგა. ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ.

ლაგიარა ქართველი და

(თბილისის მე-18 სკოლის მე-5 კლასი).